ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3722320001**
თარიღი:**16/11/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ", საკრებულოს წევრის ტარიელ აროშიძის ინიციატივისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე, შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,ზაურ ჩანჩიბაძის" სახელის მინიჭების საკითხი.

2022 წლის 15 სექტემბერს სოფელ კონჭკათში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, საკრებულოს წევრის ტარიელ აროშიძის ინიციატივის საჯარო განხილვა, უსახელო ქუჩისათვის ზაურ ჩანჩიბაძის სახელის მინიჭების შესახებ.

ზაურ აკაკის ძე ჩანჩიბაძე დაიბადა 1941 წელს სოფელ კონჭკათში, 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა, ასევე წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს ,,საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიების ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. 1970 წლს ასევე წარჩინებით დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემათიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგის კვალიფიკაცია. 1980 წელს წარმატეიბით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი.

1964-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის მანქანათმცოდნეობის კათედრაზე, სადაც გაიარა ყველა საფეხური ასპირანტობიდან პროფესორობამდე. 1978-1990 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი. ის არის 66 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიისა და 12 გამოგონების ავტორი. მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია არა მხოლოდ ოზურგეთის, არამედ სრულიად საქართველოს ეროვნული მეურნეობის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლის, მოსახელობასთან კონსულტაციების გამართვის და შემაჯამებელი საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საკრებულოს წევრის ტარიელ აროშიძის ინიციატივა, სოფელ კონჭკათის უსახელო ქუჩას ეწოდოს - ,,ზაურ ჩანჩიბაძის" ქუჩა.

2. კომისიამ სოფელ კონჭკათის უსახელო ქუჩისათვის ზაურ ჩანჩიბაძის სახელის მინიჭების შესახებ მომზადებული დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს საკრებულოს თავმჯდომარეს.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი